საჯარო სამართლის იურიდიული პირი-
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბრძანება № 01-10/122

ქ. ბათუმი

16 ოქტომბერი, 2019წ

,, ბსუ-ს სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის
" სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში" 2019-2020 სასწავლო წლის
შემოდგომის სემესტრში განხორციელების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ"
ბსუ–ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 23 სექტემბრის №01-10/115 ბრძანებაში
ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-56-ე, 63-ე მუხლების, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 23-24-ე მუხლების, ბსუ-ს წესდების მე–15 მუხლის, ,,სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში" განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე" ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 09 მარტის N04 გადაწყვეტილებისა და ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის, სტუდენტთა კარიერული განვითარებისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსის ლაშა მიქელაძის 2019 წლის 15 ოქტომბრის N1390938 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ,,ბსუ-ს სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის "სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში" 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში განხორციელების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ" ბსუ–ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 23 სექტემბრის №01-10/115 ბრძანებაში შევიდეს ცვლილება, კერძოდ, ბრძანების მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. კონკურსის ჩატარების ვადები განისაზღვროს შემდეგნაირად:

ა) ბსუ-ს სტუდენტთა განცხადებებისა და საბუთების მიღების პერიოდი - 2019 წლის 24 სექტემბრიდან 2019 წლის 04 ოქტომბრის ჩათვლით, 09:30 სთ-დან 17:30 სთ-მდე, გარდა უქმე დღეებისა.

ბ) წარმოდგენილი განცხადებებისა და საბუთების საკონკურსო კომისიის მიერ განხილვის პერიოდი - 2019 წლის 15 ოქტომბრიდან 2019 წლის 18 ოქტომბრის ჩათვლით;

გ) კონკურსის შედეგების გამოქვეყნება კომისიის სამუშაო ადგილზე (ბსუ-ს II კორპუსი, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის კაბინეტი) - 2019 წლის 21 ოქტომბერი;

დ) კონკურსის შედეგების გასაჩივრება (აპელაცია) ბსუ-ს კანცელარიის მეშვეობით - 2019 წლის 22 ოქტომბერი;

ე) საკონკურსო კომისიის მიერ სააპელაციო საჩივრების განხილვა და საბოლოო შედეგების ბსუ-ს ვებგვერდზე გამოქვეყნება - 2019 წლის 23 ოქტომბერი;

ვ) შეღავათის მინიჭების შესახებ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ბრძანების გამოცემა - 2019 წლის 24 ოქტომბერი.“

2. კომისიამ მუშაობისას იხელმძღვანელოს წინამდებარე ბრძანებით, ,,ბსუ-ს სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის "სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში" 2019-2020 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში განხორციელების მიზნით კონკურსის გამოცხადების შესახებ“ ბსუ-ს ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2019 წლის 23 სექტემბრის №01-10/115 ბრძანებითა და ,,სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში სპეციალური სასწავლო სოციალური პროგრამის „სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში“ განხორციელების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბსუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს 2016 წლის 09 მარტის N04 გადაწყვეტილებით.

3. ბრძანების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს ბსუ-ს სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს (განხორციელდეს კონკურსში მონაწილე სტუდენტების ინფორმირება წინამდებარე ბრძანების გამოცემის, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამით დაფინანსების მოპოვების შემთხვევაში, ბსუ-ში სოციალური პროგრამის ფარგლებში (სტუდენტთა შეღავათები სწავლის საფასურში) დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ განცხადების წარმოდგენის თაობაზე).

4. ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს რექტორის მოადგილეს (თამარ სირაძე), ბსუ-ს ფაკულტეტებს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, იურიდიულ დეპარტამენტს, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატსა და საფინანსო-ეკონომიკურ დეპარტამენტს.

5. წინამდებარე ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე ველში ,,სწავლა“ და ,,კონკურსები“.

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, სტეფანე ზუბალაშვილის №30).

7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ა. მითაიშვილი